საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 255-02
12/03/2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში სამართლის სკოლიდან წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების თარიღის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების მე-7 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს სამართლის სკოლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოში წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნები ერთ ვაკანტურ ადგილზე.
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში სამართლის სკოლიდან საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 15 მარტიდან 19 მარტის 18:00 საათის ჩათვლით უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნის გზით info@iliauni.edu.ge .
3. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოში სამართლის სკოლიდან წევრობის კანდიდატი უნდა იყოს სამართლის სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
4. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და დოკუმენტს:
   ა)კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;
   ბ) სკოლის სახელწოდება;
   გ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში სამართლის სკოლიდან წევრობის კანდიდატის ერთ ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული არჩევნები ჩატარდეს 2021 წლის 25 მარტს 12:00 საათიდან 18:00 საათამდე (მის:ი.ჭავჭავაძის 32, A 405

აუდიტორია). არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს სკოლის აკადემიურ პერსონალის ყველა წევრსა და სკოლის საბჭოს წევრ სტუდენტებს.

7. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
8. სამართლის სკოლას დაევალოს ამ ბრძანების სკოლის აკადემიური პერსონალისა და სკოლის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის გაცნობა.
9. სამართლის სკოლას დაევალოს 2021 წლის 19 მარტის ჩათვლით მიაწოდოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას სკოლის აკადემიური პერსონალის სია- სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მითითებითა და ასევე სამართლის სკოლის საბჭოს წევრ სტუდენტთა სია- სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მითითებით;
10. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დაევალოს მიაწოდოს სამართლის სკოლას ინფორმაცია დარეგისტრირებული კანდიდატების შესახებ არაუგვიანეს 2021 წლის 19 მარტისა.
11. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სამართლის სკოლას, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი